ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, წარმოადგენს მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილს და ემსაუხრება უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას. ამ პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულები არიან როგორც შიდა, ასევე გარე აქტორები, რომლებიც მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ პროცესებში და ხელს უწყობენ უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვას.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გარე მარეგულირებელი ჩარჩო, უნივერსიტეტის პოლიტიკა და პრიორიტეტები, სტრუქტურა და რესურსები და დაინტერესებული მხარეები (იხ. სქემა 1).

სქემა 1 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტი

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა:

- გამჭვირვალობა და გაზიარებულობა;
- მონაწილეობითობა;
- უწყვეტობა;
- აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება;
- ანგარიშვალდებულება

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით და ეფუძნება შემდეგ სტანდარტებს:

- გამოყენებაზე ორიენტირებულობა - კვლევის შედეგები გამოყენებადია და პასუხობს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს;
- განხორციელებადობა –კვლევის განხორციელების შესაძლებლობები არის რეალისტური, ეფექტური და ეფექტიანი;

- ეთიკა – კვლევის პროცესში გათვალისწინებულია ეთიკის საკითხები (კონფიდენციალურობა, ინფორმირებულობა, შედეგების/მიგნებების გამჭვირვალობა);
- სიზუსტე და სისწორე – კვლევის პროცესი უზრუნველყოფს სანდო და ვალიდური შედეგების მიღებას;
- შეფასების ანგარიშვალდებულება - ხდება კვლევის დოკუმენტირება, შეფასება. არსებობს კვლევის შედეგების გადამოწმების შესაძლებლობა.

შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამების (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა ლონგიტუდური მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას. ქვემოთ მოცემულია შიდა ხარისხის შეფასებისთვის განსახორციელებელი სისტემური კვლევების ჩამონათვალი და მათი მიმართებები ერთი მხრივ დაინტერესებულ მხარეებთან, ხოლო მეორე მხრივ - უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან (იხ. სქემა 2), ასევე სისტემური კვლევების განმახორციელებელი ერთეულები და დროის ჩარჩო (იხ. ცხრილი 1).

საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/**შეფასებების** მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი კვლევების საკითხი შეიძლება იყოს: დაბალი აკადემიური მოსწრების, მობილობით მოსარგებლე, სპეციალური საჭიროებების მქონე, სტატუსშეჩერებული, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებების კვლევა და ა.შ.

შიდა ხარისხის კვლევების/შეფასებების მიზნებისთვის გამოიყენება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ან ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტებით.

სქემა 2 სისტემური კვლევების რუკა



ცხრილი 1 სისტემური კვლევების დროის ჩარჩო [1]

	განხორციელების თვე												**განმახორციელებელი სამსახური, მეთოდები**
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
სტუდენტების კმაყოფილების კვლევა სერვისების შესახებ													უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა „არგუსი“, გამოკითხვა, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები)
ლექტორების/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა													უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა „არგუსი“, გამოკითხვა, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები); სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური (ელექტორნული გამოკითხვა)
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება													HR (სპეციალურად შემუშავებული შეფასების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენციების და ფუნქციების შეფასებას თითოეულ პოზიციაზე)
აკადემიური და მოწვეული/პერსონალის საქმიანობის შეფასება													HR/ფაკულტეტები/სკოლები (სისტემა „არგუსი“, (კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის - თვითშეფასების ანგარიში; სწავლების შეფასებისთვის - სტუდენტების გამოკითხვა კურსებთან დაკავშირებით)
კვლევების შეფასება													კვლევების კოორდინირების სამსახური (შემოერთებული ინსტიტუტების შეფასება მიმდინარეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ან/და განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ანგარიშის ფორმის გამოყენებით. უნივერსიტეტის მიერ დაარსერბული ინსტიტუტების შეფასება ხორციელდება წლიური ანგარიშის ფორმის საფუძველზე. ასევე ხდება აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტების მიერ მომდევნო წელს განსახორციეელბული პრექტების წარდგენა. აკადემიური პროგრამების ფარგლებში კვლევითი კომპმენტების შეფასება გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების ფარგლებში).
პროგრამაზე მიღების შეფასება													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ჩარიცხვის, რაოდ.მონაცემები)
სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა													უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა „არგუსი“, გამოკითხვა, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები)
სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი													ფაკულტეტი/სკოლა/პროგრამის ხელმძღვანელი (სისტემა „არგუსი“, რაოდენობრივი მონაცემები)
მობილობის კვლევა													უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შიდა მობილობა: სისტემა „არგუსი“, გამოკითხვა (ან ფოკუს ჯგუფი), რაოდენობრივი ან/და თვისებრივი; გარე მობილობა: გამოკითხვა/სატელეფონო გამოკთხვა, რაოდენობრივი ან/და თვისებრივი)
კურსების/კომპონენტების შეფასება													უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა „არგუსი“, გამოკითხვა, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები)
სტუდენტების დასაქმების კვლევა													უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა „არგუსი“, გამოკითხვა, რაოდენობრივი მონაცემები)
კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა													უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სტუდენტური სერვისები (სატელეფონო გამოკთხვა რაოდენობრივი და თვისებრივი)

[1] ცხრილში არ არის წარმოდგენილი საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები, რადგან მათი დაგეგმვა და განხორციელება ხდება კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად. სქემაზე წარმოდგენილი ვადები არის პირობითი და დამოკიდებულია შესაბამის პროცესებზე (სწავლის დაწყების/დასრულების თარიღი, მობილობის ვადები და აშ.).

დამსაქმებლების/პარტნიორების შეფასება [2]													პროგრამის ხელმძღვანელი/სტუდენტური სერვისები (ხარისხის სამსახურის მიერ შექმნილი ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტები)

[2] დამსაქმებლების/პარტნიორების შეფასება კეთდება საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისთვის - ხუთ წელიწადში, სამაგისტრო საფეხურის პროგრამებისთვის - სამ წელიწადში ხოლო სადოქტორო პროგრამებისთვის - ექვს წელიწადში ერთხელ.

უნივერისტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობა შესაბამისობაშია “PDCA” პრინციპთან. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის კვლევა/შეფასება. კვლევის შედეგები მიეწოდებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებს; ასევე, საზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და სტრატეგიას, რაც აისახება შესაბამის ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ინტერვენციები, რომლებიც, თავის მხრივ, ფასდება ზემოთ აღწერილი ციკლური პროცესის შემდგომ ეტაპზე. პროგრამებთან, უნივერსიტეტის საქმიანობასა და კვლევით პროცესებთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ასახულია ქვემოთ მოცემულ რუკებში (იხ. სქემები 3, 4, 5).

სქემა 3 რუკა ა. პროგრამებთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები



სქემა 4 რუკა ბ. უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები



სქემა 5 რუკა გ. უნივერსიტეტის კვლევის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები